



მშენებელი

რედაქცია (ლია 9-2 და 5-7).

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი. ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

კანტონი (ლია 9-2 და 5-7).

გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. სამგლედიანო განცხადება: საშუალო ზომისა თითოჯერ 50 მ., 12 საათის შემდეგ 70 მ.

დამწუხრებულნი მუდღე ეკატერინე გიგოს ასული ლევაგასი; შვილები: ნატალია აბულაძისა, ოლიმპიადა (პიპია), აკაკი, თამარა, მარუსია და ქეთევანი ლევაგები; სიძე - კაპიტანი გიორგი ვლადიმერის ძე აბულაძე; ძმა მღვდ. ექვთიმე თედორეს ძე ლევაგა; ცოლის ძმები: რაქდენ, სიმონ და ტარასი გიგოს ძენი ბაქრაძენი; ცოლისძები: ევსერინა და თევლე - გიგოს ასულნი ბაქრაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაესაგო, ნაცნობთ და მეგობრებს უცრივ გარდაცვალებას ძვირფასის

მიხაილ (მიხა) თაღორას ქე ლეჟავასას.

დაკრძალვა მოხდება ნოემბრის 30-ს (ახ. სტ.), დღით კვირას, ნაშუადღევს 3 1/2 საათზე. გამოსვენება საკუთარი ბინიდან - ბ.ღის ქუჩა № 8. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათიდან. (3 1).

განცხადება.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა მოუწოდებს ვაჭრებსა და მრეწველებს გამოცხადდნ გამგეობის დარბაზში თავიანთ წრიდან წარმომადგენლების ასარჩევად, რომელთაც დაევალება ქალაქის საბჭოს მიერ მიღებული სანიტარული გადასახადის გადამხდელელებზე გაწერა (იხ. საქ. ქალ და მახრ. ერობ. სას. ერთდრ. სანიტ. გადას. შემ. დეკრეტის მე 2 მუხლი) გაწერა უნდა მოხდეს ქვემო აღნიშნულ რიცხვიდან ორი კვირის განმავლობაში. უკეთუ რომელიმე დარგი უარს განაცხადებს გადასახადის განწილებაზე, ან მათ მიერ განაწილების ნორმებს ქალაქის გამგეობა არ დაეთანხმება, მაშინ თვით გამგეობა განაწილებს თავის მოსახრებით გადასახადს, რომელიც გადამხდელეებს უღაოთ გადახდება.

29 ნოემბერს, დღით შაბათს, 1 საათზე.

1. აფთიაქის მაღაზიები და მედიკამენტებით მოვაჭრენი.
2. აფთიაქები.
3. საკანცელარიო ნაწილების მაღაზიები, წიგნის მაღაზიები.
4. წიგნის გამომცემლობანი.

29 ნოემბერს, დღით შაბათს, 6 საათზე

1. ფქვილით მოვაჭრენი, თივით მოვაჭრენი, ფურნეები და თორნეები.
2. საკანდიტეროები, სარძევე და საჩაიე ყავახანები.

30 ნოემბერს, დღით კვირას, დღის 10 საათზე.

1. ფართლელობით და გალანტერეით მოვაჭრენი.

30 ნოემბერს, დღით კვირას, შუადღის 12 საათზე.

1. ტყავით და ხალიჩებით მოვაჭრენი.
2. რკინეულობით მოვაჭრენი.

1 დეკემბერს, დღით ორშაბათს, 1 საათზე.

1. რესტორანები, პურ-ღვინით მოვაჭრენი, სასადილოები და სახაშვები.

1 დეკემბერს, დღით ორშაბათს, საღამოს 6 საათზე.

1. არაყის და სპირტის საწყობები.
2. ღვინის საწყობები.
3. თევზით მოვაჭრენი.
4. გასტრონომიული მაღაზიები.
5. ძეხვების ქარხნები.

(2-1).

კვირას, 30 ნოემბერს, საფორჩხის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა. და პანაშვილი განსვენებულ

ელისაგად თაღორას ასულის ნაწარმოის

სულის მოსახსენებლად, რასაც გულდათუთული ქმარი დავითი და შვილები: ალექსანდრე, ვლადიმერი, თამარი და ტატიანა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ წირვა დაიწყება დღის 10 საათზე. (2-1)

გვერდნახევრა და სამიწის-მოვაჭრო რეფორმა.

მოგვხსენებათ, თფილისში მოწვეულ მევენახეთა და მეღვინეთა კრების პროგრამაში სხვათა შორის წვეით დასახელებული საკითხიც შედის.

შეიძლება ითქვას: ეს - ძირითადი საკითხია.

და, ვფიქრობ, მომხდარმა რეფორმამ უკვე გამოსცა შესაფერი ნაყოფი და ნათლად დაგვანახვა თავისი სიავ კარგე

ღია! მევენახეებმა რეფორმის შედეგები უკვე გამოსცადეს და მაშასადამე შეუძლიათ საგანი სისწორით გამოარკვიონ.

ჩვენ კი ვიტყვი: ჩვენი წინასწარმეტყველება სავსებით გამართლდა: მიწის რეფორმამ გაუმჯობესებული მეურნეობა - სხვათა შორის, მევენახეობა - დააქვეითა, მოშალა.

ვისაც ოცი დესეტინა ვენახი ჰქონდა, შუაზე გაუჭრეს. ერთი ნახევარი მიწისმოქმედების ხაინისტროს მოხელეების ხელში განადგურდა და მეორე ნახევარი - გაკოტრებული მესაკუთრის ხელში.

ამგვარივე ბედი ეწია მეზღვლეებსაც. განადგურებას ხელი შეუწყო აგრეთვე წაქეზებული ბრბოს შესევამ, აკლებამ.

ამგვარად ბევრი შვენიერი ბღვენახი გავერანდა, გაუჯობესებული ჯიშის ხვადავი შიმშილისაგან ამოწყდა, მარანი და იარაღი დაინგრა და წახდა.

საზოგადოდ მამულეები, სადაც უმოდესი სამეურნეო კულტურა ჰქვაოდა, გავერანდა.

იქნება ვინმე იფიქროს: ზოგიერთი მამული თუ მოსპო, მაგიერად ბევრ სხვა მამულში ახალი, კიდევ უკეთესი კულტურა აღმოცენდაო.

მაგრამ ეს - მართალი არ არის.

უმალღესი, მეცნიერულად დაყენებული სამეურნეო კულტურა მხოლოდ დიდ მამულშია შესაძლებელი.

მაგალითად, მაღალი ხარისხის ყველის კეთება მხოლოდ დიდ სახვადო მეურნეობაშია შეიძლება.

რატომ არის შეუძლებელი ასეთივე გაუმჯობესება წვრილ რძის მოქმედთა კოოპერაციების საშუალებით? მიტომ, რომ ერთი გამხდარი ძროხის რძე კოოპერატორების მთელ რძეს გააფუჭებს!

იგივე ითქმება მევენახეობის, მეხილეობისა და სხ. შესახებაც.

როგორ შეიძლება საზღვარ გარეთ გასატანის, უმალღესი ხარისხის ღვინოების გაკეთება წვრილი მევენახეებისაგან შეკრებილი ყურძნისაგან?

მართალია, წვრილ მიწისმოქმედთაც შეუძლიათ გააკეთონ საამხანაგოდ ყველი, ღვინოები და სხ. მაგრამ ამ წესით დამზადებული სამეურნეო ნაწარმოები უფრო შინაური ბაზრისთვის გამოდგება.

ცხადია კი, რომ ამგვარ კოოპერაციებს უდიდესი მნიშვნელობა ექნებათ და მაშასადამე სახელმწიფომ მათს შექმნას ხელი უნდა შეუწყოს.

მაგრამ, თუ, გვსურს, საქართველოს ღვინოებმა და ხილეულობამ ევროპის ბაზარი მოიპოვოს, მიწის რეფორმა ხელახლა გადასინჯული და სასაკუთრო ნორმა გადიდებული უნდა იქნეს.

იმავე დროს მომხდარი რეფორმა წვრილ მიწის მოქმედთათვისაც სუზიანოა, შეიძლება ითქვას, დამლუპველია.

ჩვენს წვრილ მიწის-მოქმედებაში უკიდურესი სამეურნეო სპეციალიზაცია შეუძლებელია.

დღის მევენახეს შეუძლია აიტანოს ერთისა და თუნდ ორი წლის

მოუსავლობა, ვინაიდან ძველ ღვინოს გააძვირებს და ხარაღს, სულ ერთია, მაინც აინახლაურებს.

წვრილ მელვინეს კი ეს არ შეუძლია: წლის მოსავალი იმავე წელს უნდა გაყიდოს, რომ თავი გამოიკვებოს და საწარმოო თავნი უკანვე დაიბრუნოს. ამიტომ ერთი წლის მოუსავლობა დიდ გასაჭირში აგდებს, ორი წლის მოუსავლობა ხომ მთლად აკოტრებს.

მაშასადამე წვრილი მევენახე იმავე დროს მებაღეც არის. მხენელ-მთესველიც, ხვადაგისა და ფრინველის მომშენებელიც, ოსტატიც.

მხოლოდ ამ პირობით გაუძლებს ის კონკურენციას! ამ პირობით შერჩება მიწა და არ გადიქცევა პროლეტარად!

და 20 ქცევა განა ყველაფრად ეყოფა? ვენახიც გააშენოს ზედ, ბალიც, ბოსტანიც, ტყეც, სიძინდი და პურიც დასთვოს და ხვადაგი და ფრინველიც მოაშენოს?!

მეორე მისი ყანა რა ნაყოფს მისცემს, ყოველ წელს თუ ერთი და იგივე ჰირნახულს დასთვას?!

ღიღი! ჩვენმა წვრილმა მიწისმომკმედმა თავისი საზრდო თავისივე მიწაზე უნდა მოიყვანოს, მის მეურნეობაში უკიდურესი სპეციალიზაცია-შეუძლებელია.

კიდევ უარესი იქნება მომავალი თაობის მდგომარეობა. ახლა თუ ერთს ოჯახს შვიდი ღვინო აქვს, ათი წლის შემდეგ ორი ღვინოა— და ექნება.

და მაშინ ჩვენში, როგორც მს. ვილს, აგრეთვე წვრილ მიწის მოკმედებს ბოლო მოეღება!

ეს არის და ამაზე კიდევ უარესი იქნება მომხდარი რეფორმის შემდეგ! დასასრულ, ერთი საჭირ-ვარამო სამეურნეო საკითხიც უნდა აღვიშნო.

დეკრეტის ძალით არც ერთ მიწის მოკმედს არც ერთი მტკველი ტყე არ უნდა ჰქონდეს.

სწორედ ამიტომ გაანადგურეს წვრილმა მესაკუთრებმა ტყეები! საქართველო გაიჩხა და გაშიწვლდა!

მართალია, აპრობენ დეკრეტის ამ ნაკლის შესწორებას: ახალი კანონ პროექტით მესაკუთრეს არ უნდა ჩამოერთვას ჩირგნარი, გამოუსადეგარი ტყე!

მაგრამ, ვთქვათ, პატრონმა ჩირგნარი კარგ ტყედ გადააქცია. მაშინ? საზოგადოდ, ტყის საკითხი ყველაზე უარესად არის გადაჭრილი.

და საქარაა, შეიგნონ ჩვენმა ახალმა პატრონებმა:

ვერცერთი მეურნეობა, ვერც მსხვილი და ვერც წვრილი, ვერ იტოვებებს უტყეოდ.

ტყე ის არის მეურნეობისთვის, რაც პური ფილტვისთვის.

გვეტყვიან: მეურნეს შეუძლია სახაზინო ტყე მოიხმაროსო.

მაგრამ, ყოველივე საჭიროება თუ ბიუროკრატისთან სახვეწრად გაუბდება, უეჭველად, კარგი არაფერი დაემართება.

ყურად იღებენ კი სიმართლის ხმას?!

ვასილ წერეთელი.

მევენახეთა კონგრესის გამო.

ჩვენში ყველაფერი გასაკეთებელი და გასაუმჯობესებელია. რომ გადახედავ ჩვენ საზოგადო ცხოვრებას ყოველი დარგი უვარგისათ წარმოადგება თვალწინ. ცხადია საერთოდ ჩვენ ყველაფერში ჩამორჩენილი ვართ: პოლიტიკური სფეროც, განათლება, მეურნეობაც, ტექნიკაც, ვაჭრობა მრეწველობაც— ყველაფერი დაცემულია. ყველაფერი საზრუნავი და თავსატეხი გვაქვს, მაგრამ საუბედუროდ ჩვენდა ყველაფერზე ცოტას ვზრუნავთ.

საერთაშორისო ომმა და დიადმა მსოფლიო რევოლუციამ აშკარად დაგვიმტკიცა, რომ ჩვენი არსებობა სხვის დაუხმარებლად შეუძლებელია, თუ შინაური განახლება, შინაური წარმოების გარდაქმნა არ მოვახდინეთ.

თუ მომავალი გვინდა და აწმყო გვრწამს, დღესვე უნდა შევუდგეთ ჩვენი ცხოვრების ყოველი დარგის გარდაქმნა გადახალისებას.

ამ მხრივ საყურადღებოა დღევანდელი მევენახეთა და მეღვინეთა კონგრესი თფილისში.

სამწუხაროთ ისეთ იშვიათი სიმდიდრით სავსე ქვეყანაში, ისეთ განზრახ სამეურნეო ქვეყანათ გჩენილ ქვეყანაში, როგორცაა საქართველო, მეურნეობის ყოველი დარგი დაცემულია. ჩვენში ვენახები ცოტაა, ზოგან სულ არ არის გაშენებული და სადაც არის მოუვლელია თუ უცოდინარობით, თუ დაუდევრობით, თუ საერთო უყურადღებობით. მევენახეობა, ისე როგორც სხვა დარგი, კერძო საქმეთ არის მიჩნეული და სახელმწიფოს ზრუნვა. პატრონობა აქ სრულიად არა სჩანს.

როგორც მევენახეობა დაცემულია და დაბეჩავებული, ისეა მეღვინეობაც. ღვინო ბევრს უყვარს ჩვენში, მაგრამ მეღვინეობა ათვალწუნებულია. ღვინოზე ვგებ კიდევ ფიქრობს ვინმე, მაგრამ მეღვინეობაზე კი არაფერ. ღვინოსაც და მეღვინეობასაც ჩვენში პატრიარქალური ელუფი აქვს. მეღვინეები ჩვენში თითქმის ყველა გაუნათლებელი ხალხია, არავითარი თეორეტიული სამეურნეო ცოდნა მათ არა აქვს და პრაქტიკაც მათი ძველებური, მამაპაპურია. ჩვენებური ღვინო უკულტურო ნაყოფაა ჯერჯერობით. ღვინის მოწევა, მისი დაყენება, დამზადება, შენახვა, გადართან გადმოტანა ისევ ძველებურათ სწარმოებს და არავითარი კულტურის გავლენა მას ჯერ არ ეტყობა. პირიქით ხალხის გასულღუტება, გაეშმაკება და გაბოროტება აფუჭებს და ახდენს ჩვენებურ ღვინოს და დღეს წმინდა—ყურძნის წვენი მაგიერ რაღაც ღვინისფერ სითხეს სვამ, რომელსაც თამაზად შეგიძლია სახელათ რაც გინდა ის უწოდო, გარდა ღვინის სახელწოდებისა. საუბე უროთ გაკეთებისა და გაუმჯობესების მაგიერ ღვინო ხდება და თანდათან უარესდება.

ღვინოზე არ არის არც სხელმწიფოებრივი და არც კერძო ნიადაგზე აღმოცენებული კულტურული

მზრუნველობა. დღემდე ვერ მოგვიხერხებია, რომ ჩვენი ღვინო მსოფლიო ბაზარზე თავისი ღირსებით გამოიფინოს. არც ქურქელი გვივარგა და არც მგზავრობის ატანა შეუძლია ჩვენ ღვინოს. დღემდე ისიც არ გამოჩვენებულა სავსებით რა ადგილებში რა ჯიშის ყურძენი სჯობს, და რა ადგილებში რა ფარგლებში უნდა ჩადგეს მევენახეობა ასეთ პატარა ქვეყანაში, როგორცაა საქართველო დღემდე ყველა კუთხე არ გასინჯულა, რომ დაბეჩივებით ვსთქვათ სად რა ჯიშის ყურძენი ივარგებს და სად რა მოვლაა საჭირო. დღემდე, ერთი რიგიანი სახელმძღვანელო არა გვაქს მევენახეობისა და მეღვინეობისათვის გამოსადეგი. დღემდე ერთი ნამდვილი სპეციალისტი ვერ გაგვიზრდია, რომ ამ დარგში მოღვაწეობას კვალი დააჩინოს. მეურნეობის და აგში აღზრდილები ჩვენში ან ფრანგულს ენის მასწავლებლათ არიან, ან ბანკის მოლარებულალტრებათ და მეურნეობას ახლოსაც არ ეკარებიან.

სამწუხარო მდგომარეობაშია ჩვენში საერთო მეურნეობა და კერძო მევენახეობა და მეღვინეობა. ამიტომ ფრიად საყურადღებოა დღევანდელი კონგრესი და საგულისხმო ის აზრები, რომელიც კრებაზე გამოითქვა. მართლაც თუ გაბედული ნაბიჯი არ გადავდგით და მეურნეობის შესახებ ფართო ზომები არ მივიღეთ, მეურნეობა უფრო დაეცემა. თუ მევენახეობასა და მეღვინეობაზე ფართო მზრუნველობა არ გამოიჩინა მთავრობამ და კერძო ინიციატივაც არ ამუშავდა, საქართველო დაკარგავს ბუნებრივ ღირსებას და ნაცვლათ იმისა, რომ მსოფლიო ბაზარს თავისი ნაყოფა მიაწოდოს, თვითონ სხვას მიიჩრდება და ღვინოსაც სხვისგან მოითხოვს, როგორც პურსა და ლითონს ელის სხვისაგან. სამწუხაროთ ნაჩქარევი სამიწადმოქმედო რეფორმები და სააქციო კანონები მევენახეობას და მეღვინეობას კიდევ უფრო უარეს საფრახეს უშვადებს მომავალში. მთავრობამ დარგში ყალბ ნიადაგზე სდგას და კრების დადგენილება პირველ ყოვლისა თვით ხომერიკისა და მისი ამხანაგებისთვის არის საყურადღებო და საგულისხმო...

ტრიფონ ჯაფარიძე.

გალა კრიზისი დადგება.

დაბებიდან და სოფლებიდან უამრავი ყოველ დღიური კორესპონდენციები სულ ერთსა და იმავეს გლოვობენ. ყველა სურსათის კრიზისის მოლოდინშია. ჯერ კიდევ სავსებით არ მოუწევიან ნაპურად ყანებში სიმინდი, რომ ქალაქებში ფქვილმა სახლაპრო ფასებამდი. მიაღწია. ბაზარზე ფუთი ექვილი დღეს რომ შემოდგომის სული ისევ ტრიალებს 250 მანეთად ფასობს, და ვინ იცის ზაპირის დღეებში 500 მანეთამდე ავიდეს. არც ღვინო მოვიდა წელს საქართველოში. წინა წლებში ღვინო საქართველოდან სხვა და სხვა მახლობელ ქვეყნებში მიქონდათ, და მის ნაცვლად ან პური შემოქონდათ

ან სიმინდი. დღეს ეს ღვინო თვით პურღვინის მოყვარე ქართველს თუ დაკმაყოფილებს. სხვა ქვეყნებში გასატანი წელს არც ისმსულა. ხელიც ბლომად მოღობდა წინეთ ჩვენ ქვეყანაში, და ესეც კარგი წყარო იყო ფულის საშოვნათ და სურსათის შესადენათ. წელს ამანაც გვიღალატა. შემოდგომიდან მოწეული სიმინდი, ღვინო, პური და სხვა სურსათის რომელიმე ატრიბუტი ჯერჯერობით მოიპოვება საქართველოში, მაგრამ დიდხანს არ გვეყოფა. მთელი წრევენდელი მოსავალი რომ ერთ ბელელში დაეგროვოთ და აქედან გაუნაწილოთ ხალხს, რა წესითაც არ გნებავთ, თუ გინდ იმავე „კუპონების“ საშუალებით, რომელსაც აწ განსვენებული ძველი სასურსათო კომიტეტი რომ ადგა, სულ ერთია ჩვენში მოსული სურსათი ზამთარში თუ გვეყოფა. დღეს ბაზარზე კიდევ უმხერო სურსათს, ეს იმის შედეგია რომ სოფლელი გლეხი, რომელსაც ეს სურსათი შემოაქვს ზამთრისთვის ემზადება ზამთარში ის მოკალათდება ცეცხლის პირას, და როცა თავის სასიმინდეს უნუგეშო მდგომარეობაში შეხედავს, მაშინ ბაზარს ახლოსაც აღარ გაეკარება. გაცვიოდეთ ქალაქს და წარმოვიდგინოთ სოფელი. გლეხს ყოფნის ზამთარში მოწეული სიმინდი. მაგრამ ზამთარში ხომ უმეტესად ის ტყვილა არის. გაზაფხულდება დადგება საქმიანი დღეები და მაშინ მას სურსათი აღარ ექნება.

როგორ გგონიათ ბატონებო, ის მშვიერ კუჭზე სამ ოყიანი თოხით დაიწყებს მინდვრის ბელტების მტვრევას? არა ბატონებო, მას სამუშაოზე გული აუგორდება...

ქალაქში წარმოება შეწყდა და სოფლად ყანების დამუშავება...

ყოველ სახელმწიფოს სურსათის კრიზისი დაღუპვას უქადის. საქართველოს უკანასკნელ ხანებამდე რუსეთი აწვდიდა პურს. დღეს რუსეთმა ბლოკადა გაგვკეთა.

ჩვენმა მთავრობამ სურსათის საქმეს ვერ შემოუარა.

კერძო პირი ვერ შეიძლება სურსათის შემოტანას, — რეკვიზიციის ეშინია. ჩამოტანილ სანოვაგეში კანონიერი პროცენტიც რომ მოიგოს, მას ვაჭარს კი არა სპეკულიანტს უწოდებენ და კონტრ რევოლიუციონერს დაარქმევენ.

საქმე მაინც ცუდათ არის და მომავალი პერსპექტივები შიმშილს გვიქადიან.

სამეგრელოდან სიმინდი უცხო სახელმწიფოში ფარულათ გააქვს. იმერეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს სამეგრელომაც ბლოკადა გაუკეთა.

რა გამოასწორებს ჩვენ არაულ და დღევანდელ უნუგეშო მდგომარეობას, საქართველოს იმდენი სურსათი აკლია, რომ თვით სახელმწიფოს შიგნი სურსათის გადაჯგუფ კაღმოჯგუფება საქმეს ვერ გამოასწორებს.

ვერც თითო ოროლათ შემოტანილი ტომარი სიმინდი მოსცხებს მაღალს დამშეულ რესპუბლიკას.

კრიზისიდან გამოსასვლელათ ორი საშუალება არსებობს.

დღიური.

გერმანული გაზეთები პრეზიდენტის კანდიდატთა ასახელებებზე, რომელსაც სოციალისტური უმრავლესობა აყენებს. ნაციონალისტები ჰინდენბურგს ასახელებენ. აგრარები კი — ლამშეს.

ბელგიის მეფემ ახალ მთავრობის შედგენა დელაკრუას მიანდო. ნიჭი კათოლიკურ პარტიებთან მოლაპარაკებას აწარმოებს. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ტიტონი გადადგა. პარამონოვის და აზოვის მალარობებში მუშათა აჯანყება. პოლტავა აჯანყებულებმა აიღეს.

მიტავის ვაკუაციის შესახებ ხმები გამართლდა.

წერილები:

ვ. წერეთელი: მევენახეობა და სამიწადმოქმედო რეფორმა

ტრ. ჯაფარიძე: მევენახეთა კონგრესის გამო.

ბიკ. აბესაძე: მალე კრიზისი დადგება.

სურსათის მოგვარების საკითხი შეუძლიათ იკისრონ ვაჭარ მრეწველთა კავშირებმა. ვაჭრები ამხრივ და ხელოვნებულნი არიან. მათ იციან სად რა ეძიონ და ადვილათ აღმოაჩენენ ისეთ ქვეყანას, რომელიც უზრუნველს უფას საქართველოს სურსათით.

არის მეორე საშუალება — გაცილებით უფრო რადიკალური და რაციონალური ვადრე პირველი.

ამ საქმის მოგვარება თვით მთავრობამ უნდა იკისროს. და რადგან ჩვენ ბონებს არსად მიიღებენ არის მხოლოდ ერთი საშუალება. ჩვენმა მთავრობამ უნდა გაუცვალოს შავი ქვა თუ გინდ იმავე ამერიკას, რომლის ნაცვლად დიდი სიმამრებით მოგვცემენ სიმინდს. მაგრამ საქმეს მუშათა საკითხის მოუგვარებლობა აფერხებს. ყოველგვარ კავშირებს ისეთი ფართო უფლებები აქვს, რომ ჩვენ ვერ მოგვახერხებია შავი ქვის ამოღება და ვადაზიდვა.

ჩვენმა მთავრობამ დაუყონებლივ უნდა მოაგვაროს მუშათა საკითხი. ისეთ დონეზე უნდა დააყენოს რომ შესაძლებელი იქნეს ადგილობრივ შავი ქვის ამოღება და გემების დატვირთვა. შემდეგ კი შეიძლება გაცვლაზე ლაპარაკი.

ამით მოგვარდება სურსათის საკითხი.

ამაზე უკეთეს საქმეს ჩვენი მთავრობა რესპუბლიკის მოქალაქეებისთვის ვერ გააკეთებს.

თუ დროზე სურსათის მომარაგებისთვის ზომები არ იქნა მიღებული, მშვიერა ხალხი სახიფათოა.

ბიკ. აბესაძე

ლენინის რუსეთის მდგომარეობის შესახებ.

შეერთებულ შტატებში მყოფ ბალმევიკურ რუსეთის ელჩის მიმართ ერთ ერთ წერილში ლენინი, სხვათა შორის, შემდეგს სწერს: „მე უნდა ვაღიარო, რომ გადამეტებულია წარმომადგენელი რუს მუშისა და გლეხის განვითარებაზე, მათი მოუშაადებლობა. შეუძლებლათ ხდის რუსეთში კომუნისტური რეჟიმის დამკვიდრებას. მუშები მხოლოდ ჯამაგირების მომატებაზე ფიქრობენ. ხალხის გასაჭირის შესამსუბუქებლად შექმნილი კომიტეტები მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, თუ ვის მიაკუთვნონ კარგი შემოსავლიანი ალაგი“.

ახალი ამბავი.

ინგლისური გაზეთების კორესპონდენტი. ქუთაისში გუშინ ჩამოვიდა ინგლისური გაზეთების კორესპონდენტი მისტერი ბიჩოვერი.

ქალაქის საბჭოს სხდომა. სამშაბათს 2 დეკემბერს დანიშნულია ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა. სხდომაზე განხილული იქნება ქალაქის წლიური შემოსავალ გასავალის ხარჯთ აღრიცხვა.

საპონი. ქუთაისის ქალაქის გამგებობამ მოიხმარებელ საზოგადოებას „კოოპერაციას“ ათასი ფუთი საპონი გადასცა. მოქალაქეების საჭიროებას დასაკმაყოფილებლად.

წვრილი ერთეულების დამტაცება. რიონის, საწირის, კურსების, ჭოგანის, კიკნაველეთის, ზეკრის და ქვიტირის წვრილი ერთეულების დასამტაცებლად, გუშინ სამაზრო ერთბაში დანიშნული იყო კრება.

კონცერტი. შაბათს, ნოემბრის 29, მუსიკალურ სასწავლებელში გამართება მორიგი კონცერტი პროგრამაში: რახმანინოვის, პანიელსკის, შოპენის, მოცარტის, მენდელსონისა და სხვ ნაწარმოებმა, დასაწყისი საღამოს 7 1/2 საათზე.

თბილისი

ამბოხების ჩაქრობის გარშემო შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდეგი დეკრეტები მოუვიდა:

ხაშური, გიორგობ 15 ს, გიორგობ. 14-ს შეიარაღებული ბრბო, ყაჩაღი ქორქაშვილი და ბეჯასიშვილი ხელმძღვანელობით, თავს დაესხა ერობის შენობას და მილიციის პოსტს შეაპყრეს და წაიყვანეს გამგებობის თავმჯდომარე, წევრები და მილიციელები.

ხაშური, 15 გიორგობისთვე რაიონში ოპერაციების დროს დღემდე შეტაკების დროს მოკლულ იქნა 6 ყაჩაღი, ჩვენგან დაიჭრა ერთი გვარდიელი არხოზაშვილი. დატუსაღებულია 70 კაცი, რომელიც სახელო საველე სასამართლოს გადაეცა, მის დახვრეტა მიესაჯა. ერთს რაზმის უფროსმა სიკვდილით დასჯა შეუცვალა 4 წლის კატორღით. 2 უკვე დახვრიტეს. წინ სვლას და იარაღის აყრას განვარდობით, ხალხი ყველგან თანაგრძობით გვხვდება და დიდ დახმარებას აღვივითვამს. ყაჩაღები ხალხზე ძალადობას ახდენენ და საშინლად აწუხებენ. ჩვენი მისვლით ხალხის სიხარულს საზღვარი არა აქვს.

დუშეთი. გიორგობის. 23 ს. სამხედრო სავლე სასამართლოს განაჩენით დახვრიტეს ყაჩაღები პეტრიაშვილი და ბრაჭული.

პაპის დელეგატი ანტონ დელა ფუშის მობრძანების გამო კუთაისში.

გაზ. „სახალხო საქმეში“ მოთავსებული გახლდათ ოთხი „ფელეტონი“ კათოლიკ მესხისა, რომელიც სხვათა შორის, პატივცემულის და ისტორიის მკოდნე ანტონ დელა ფუშის გამო სწერდა შემდეგს:

პაპის დელეგატი ანტონ დელა ფუშემ, ახალციხეში მობრძანების დროს, ქართველ კათოლიკეებთან საუბარში, ქართველ კათოლიკეთა არსებობა საქართველოში სრულიათ უარყო.

ქართველ კათოლიკებს მან არ მოუწონა ბევრი რამ და განაცხადა, რომ თარგმნა ლათინური ტიპიკონის ქართულათ ყოველათ შეუძლებელია.

ამა გარემოების შესახებ, პატივცემულს ანტონ დელა ფუშეს ჩვენ ბევრს არ მოვუყვებით, თავს არ შევაწყენთ, მხოლოდ ერთ რამეზედ კი მივსცემთ საპასუხო ცნობებს და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თუ იგი აღმოსავლეთის ერთა ისტორიის მკოდნე ბრძანდება, მაშინ ჩვენი ცნობები მათთვის საყურადღებოთ დარჩება და მის შემდეგ ტერ აბრანინის და კალატოზის ცრუ, ყალბი და ქართველ კათოლიკეთა ნაციის შექმაც გაბათილდება.

ქართველ კათოლიკეთა რიცხვი საქართველოში გაჩნდა XII საუკ. დამდეგს, დავით აღმაშენებლის დროს, მას შემდეგ ქართველ კათოლიკენი არსებობენ და სცხოვრებენ საქართველოში. ამათი რიცხვი საქართველოში იმოდენი იყო, რომ საშუალოსა უკუნეში, პაპი იოანე ოცდა მეორის დროს თფილისში დაარსდა საეპისკოპოზო კათედრა, და მასხედ ეპისკოპოსათ იქმნა აღყვანილი იოანე ფლორენციელი.

XII საუკუნიდან საქართველოში, კათოლიკის სარწმუნოება ქართველ მეფეებისა და კათოლიკოსებისგან ყოველთვის პატივცემულა იყო და ამიტომ იგი ქართველთა შორის ყოველთვის თავისუფლათ ვრცელდება.

საქართველოში ქართველ კათოლიკენი უხსოვარის დროიდან სცხოვრობდნ და სცხოვრობენ დღესაც და ამიტომ მათი უარყოფა იქნება ჩვენი ისტორიის არ ცოდნა. ეს ცხადი საბუთია, რასაც არ უნდა კამათი. ამიტომ ახლა ჩვენ აქ დავასახელებთ ქართველ კათოლიკეთა გვარებს და ამ ცნობების მიხედვით შევქველია პატივცემული დელეგატი დარწმუნდება რომ ქართველ კათოლიკენი არიან ნაციით ქართველნი და არა სომხები..

მაშ მოვიყვანო გვარებს. ქართველ კათოლიკენი ქართველ თავადიშვილებში არიან შემდეგნი: ობელიანები, თუმანიშვილები, ჩოლოყაშვილები, ჩიქოვანები და სხვანი. აზნაურები: ბაქრაძე, ასათიანი, ჩიგიანი, ავალიანი და ბევრიც სხვანი.

მოქალაქენი: გოციელი, ჯავახეთის სოფ. გოცი-ილამ გადმოსულნი ქუთაისში, ოცხელი, მესხეთის ოცხელი, სახლებულნი ქუთაისში. საბაშვილი, იგივე საბავევი. ფაფაზოვები, ძველათ მოცოშვილები.

ბეთანოვები, ძველათ ბეთანიის ხეობილამ გადმოსულნი. ვარძელაშვილები, ძველათ ვარძილამ გადმოსულნი.

კანდელაკი, ბალინაშვილები, ნეზირიძენი, აბაზაძეები, კიკნაძე, მახარბელიძენი, რატიშვილები, ჯიმშირიშვილები, აზნაუროვები, ფირაშვილები, ასლანიშვილები, ყაუხჩოვები, ყოყოჩაშვილები, კოსტანაშვილები, ანდრონიკაშვილები, ბინდურაშვილები, თერძიშვილები, მურვანიშვილები, სოლორაშვილები, მურადაშვილები, ფეიქრიშვილები, დათიაშვილები და ბევრიც სხვანი.

ჩვენ ეს ვიკმაროთ, ბევრის გვარების მოთვლით თავს არ შევაწყენთ პატივცემულ დელეგატს, გაცივოს ეს გვარები, და თუ ეს გვარები ქართული აღმოჩნდება, მაშინ ქართველ კათოლიკეთა არსებობაც დასაბუთებული იქმნება.

პატივცემულის დელეგატისთვის თუ საჭირო იქნება, ჩვენ გადავსცემთ რამდენიმე ათასს გვარს კათოლიკეებისას, რაც სულ ქართული გვარებია, და რითაც ცხადათ მტკიცდება, რომ საქართველოში უხსოვარის დროიდან სცხოვრობენ ქართველ კათოლიკენი.

ზ. კ.

უცხოეთი

შავი ზღვის გუბერნიის გლეხთა დეკლარაცია. 18 ნოემბერს, სოჩის ოლქის ერთ ერთ სოფელში შესდგა შავი ზღვის გუბერნიის გლეხთა წარმომადგენლების ყრილობა. ყრილობამ იქონია მსჯელობა სხვა და სხვა საკითხების შესახებ და გამოიტანა მომენტის შესახებ ვრცელი რეზოლიუცია, სადაც, სხვათა შორის, შემდეგია ნათქვამი: „ჩვენ შავ ზღვის გუბ. გლეხები შევებრძოლეთ რეაქციას, როგორც მესამე, დემოკრატიულმა ძალამ; ჩვენ უარყოფთ ყოველგვარ უმკირესობის დიქტატურას უმრავლესობაზე. რომ ჩვენ ბრძოლას რეაქციის წინააღმდეგ ორგანიზაციული ხასიათი შეიცეს, სანამ სრულიათ რუსეთის ფედერაციას შევუერთდებოდეთ, საჭიროთ ვსცნობთ: 1) მოეწყოს ახლო მომავალში შავი ზღვის გუბერნიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც ფედერატიული კავშირი ექნება ყველა ახლათ დაარსებულ წვრილ სახელმწიფოებთან, რათა მათთან ერთად ვიბრძოლოთ სრულიად რუსეთის ფედერაციის შესაქმნელათ; 2) არჩეულ იქნეს შავი ზღვის გუბერნიის განმათავისუფლებელი კომიტეტი, რომელიც პასუხის მგებელი იქნება ყრილობის წინაშე; 3) კომიტეტს დაევალოს ხელსაყრელ პირობებში მოიწვიოს გუბერნიის გლეხთა და მუშათა არაჩვეულებრივი ყრილობა, რომელიც საბოლოოთ გამოირკვევს შავი ზღვის გუბერნიის დემოკრატიის ბედს; 4) არა ჩვეულებრივ ყრილობის მოწვევამდე განმათავისუფლებული იქნება“.

ფლებელ კომიტეტს ევალება მოაწვრიგოს შავ რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლა და თუ შესაძლებელი იქნება, სრულიად განდევნოს მოხალისეები გუბერნიდან. დაუყოვნებლივ იქნეს დაწყებული მოლაპარაკება ყუბანის რადასთან შავი ზღვის გუბერნიის ყუბანთან ავტონომიურათ შეერთების შესახებ, მაგრამ იმ აუცილებელ პირობით, თუ ყუბანი საბოლოოთ ჩამოსცილდება მოხალისეთა ჯარს მოეთხოვოს სახალხო კომისართა საბჭოს და კომუნისტურ პარტიას, რათა მათ რადიკალურათ შესცვალონ თავიანთი პოლიტიკა, — უარი თქვან პარტიულ დიქტატურაზე და შეადგინონ კოალიციონური სოციალისტური მთავრობა. ვაგვზავნოს პროტესტი დასავლეთ ევროპისა და ამერიკის დემოკრატების მათი მთავრობების იმ პოლიტიკის გამო, — რომელიც რუსეთის რეაქციონურ ძალთა დახმარებაში და ეკონომიურ ბლოკადაში გამოიხატება.

მასი უპრადლეა.

გუშინ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ქართული გალობის მოყვარულთა წრის წესდება. საქმე მტათ-საყურადღებო და სიმბატიურია. ქართული გალობა! თვალწინ გვიყენებს სურათს ჩვენ წინაპართასულიერი ცხოვრებისა. ჩვენი გალობის შექმნას, მის შემოქმედებას თავისი კვალი, დაამჩნიეს, როგორც უოველგვარ ხელოვნებას, გალობასაც მიზნათ დასახული აქვს ადამიანის გარდაქმნა, გაკეთილშობილება, მისი გრძობათა გაწმენდა — განსპეტაკება გალობის გავლენის; ქვეშ მყოფი ადამიანი ერთი წუთითა მინც განიცდის სანეტარო წუთებს, საამო სულიერ კმაყოფილებას. სწორეთ ეს მიზანი იყო დასახული, როცა ქართველი ხალხი გალობას ქმნიდა, მასში ჩააწნა მან თავისი მწუხარება და მზიარულება, თავისი ბოღმა და შვება. ქართული გალობა არის ნამდვილი სახე, ნამდვილი სურათი ჩვენი ხალხის, სულიერი მდგომარეობისა. ამიტომაც ის არის ნამდვილი ხელთუქმნელი ძველი ჩვენი წარსული ძლიერი სულიერი კულტურისა, მისი განკაცებისა, გააღამიანებისა.

გალობის მხრით ქართველმა ხალხმა წინ გაუსწრო თავის მეზობელ ერებს, რომელნიც ჯერ კიდევ მის პირველ საფეხურს ვერ განშორებდნენ. ამ დროს ჩვენ გალობას, მის აკორდებს, კრიმინალურებს განცვიფრებაში მოჰყავს გალობის მცოდნენი. ქართველის განვითარებულ სმენას ცალფა ლილინი არ აკმაყოფილებს და ერთ ხმასა მეორეს და მესამეს უმატებს. ასე ხმაშეწყობილი და შეტყობილებული დადადებს ის. ზოგს იქნება დღესაც ახსოვდეს, თუ როგორი გაჩაღებული იყო ის ჩვენს ეკლესიებში. ჩვენი ეკლესიის შვენება სწორეთ გალობა იყო. მაშინდელი მოღბენა ძილის პირების თქმით გამოიხატებოდა. კარგი მომღბენი ის იყო, ვინც მეტს ძილის პირს იტყოდა გალობით.

ახლა არ იკითხავთ თუ რა ხალი-სით სწავლობდნენ?!. მასწავლებელი და მოსწავლეები თავს იყრიდნენ ზამთრობით სენაკებში და გაჩაღებული შუაცეცხლის პირას ორ წყებათ გაქონდათ გუგუნე. ამათი ხმაშეწყობილი ჰანგები ზეცას სწვლებოდა; არავითარი ძალდატანება და იძულება არ იყო. ყველა, ვისაც ხმა და სმენა ხელს უწყობდა, თავს ვალდებულათ სთვლიდა წირვა ლოცვაში მონაწილეობა მიეღო.

მაგრამ დრო შეიცვალა და ცხოვრებაც სხვა გახდა. სადა ცხოვრება გართულდა, მოთხოვნილება გაასკვდა; ყველა ამოძრავდა, რათა მოთხოვნილება ოდნავ მინც დაეკმაყოფილოს. ცხოვრების ასეთმა გართულებამ შრომის განაწილება გამოიწვია და წარმოების ყოველ დარკში სპეციალობა გააბატონა. გალობაც სპეციალურთ საგანი შეიქნა და ის სენაკიდან კონსერვატორიასა და კაბელაში გადატანილ იქნა აქ მას სპეციალურათ სწავლობენ; გაამშვენეს, გაანვიჟარეს ის და უძალდეს წერტილამდის მიიყვანეს.

ჩვენ კი დღეს კაბელა და კონსერვატორია კი არა, გალობის უბრალო სკოლაც არ მოგვეპოვება. ბედის უკუღმა ტრიალმა ისეც დააქნინა, გაათხსნირა, რაც ხელთ გვქონდა, დღეს მისი განვითარებისა და მეცნიერულათ დამუშავების მაგიერათ, ის და ვაგვხდომია სადავიდრობოთ, თუ როგორ აღვადგინოთ და როგორ მოსპობა-კანადგურებას გადავარჩინოთ ის.

სწორეთ ეს გარემოება შეიქნა მიზეზი იმის რომ ასე თავგამოდებით მოგითხოვდით ხოლმე ჩვენი ეკლესიის თავისუფლებას, დღეს აუცილებლად მიგვაჩნია ჩვენი ძველი გალობის აღდგენა და მისი მეცნიერულათ გამოკვლევა დამუშავება და ხალხში გავრცელება მოძრავი კურსების საშვალეებით. ამ მიზნით გამსჭვალული ერთი ჯგუფი უკვე შესდგომია ამ საქმეს. ეს სასურველია რომ ეს ჯგუფი მეტის ხალისით, მეტიის ენერგიით მოეკიდოს ამ ეროვნულ საქმეს, მას ყოველმა ჩვენგანმა მხარი უნდა დაუჭიროს.

ხალხის მეგობარი.

მე მუტკრეობა.

წერილი III.

ქუთაისის I მეფეტურეობის ამხანაგობის წესდების ძალით წევრების მიღება ხდება პაის ყიდვით. ადრე ეს პაი ღირდა 100 მან. ხოლო შემდეგ საერთო კრების დადგენილების ძალით პაი ავიდა 300 მან. ღირებულებას, ასე რომ ახალი წევრად შემოსვლელი იხდის 300 მანეთს პაის შესაძენათ, მაგრამ კრების დადგენილების თანახმად ის მანეთიანი პაიში კებიც ვალდებული არიან შეიძინონ კიდევ სამას მანეთიანი პაიც და ამნაირად ძველი წევრი, მყიდველი ახალი სამას მანეთიანი პაისა, არის პატრონი ირი თანასწორი პაისა, ვინაიდან პირველი ას მანეთიანი პაიც, საერ-

თო კრების დადგენილებით, სამას მანეთიან პაის უდრის ზედმეტ ფულის გადაუხდელათ.

წვერი შეიძენს პაის, რამდენიც კი სურს. აქედან შემოსული ფული ხმარდება ჯერ-ჯერობით საფუტკრის ხეირიანად მოწყობას, მცოდნე ინსტრუქტორის დაქირავებას და სხვა საგანგებო ხარჯებს. სხვა წყარო გამგეობას არ აქვს და თუ ახალი წვერი საკმაო რიცხვს არ შეადგენენ, ან ძველი წევრები არ დაეხმარებიან ზემო აღნიშნული საშვალეებით, ე. ი. თითო მანც 300 მანეთიანი პაის შეძენით, საქმის წინ სვლა საგრძნობლად შეფერხდება, და თუ ამნაირად საშვალეება მოკლებული იქნა, შეიძლება საზოგადოება კიდევაც დაიშალოს: ნუ იქნება ასე. მოვსპოთ ერთხელავე ქართველური დაუდევრობა და საქმეს ნუ უღალატებთ. რა ჰქნას გამგეობამ, უსასყიდლოთ მუყაითათ მომუშავემ, თუ მას საჭირო თანხას პაის შეძენით არ შეუგროვებს. ზნეობრივი და მატერიალური დახმარება გამგეობისათვის აქ საჭიროა. მართალია ერთეულები ამ მხრივ დიდ ღვაწლს სდებენ და ამიტომ არ შემიძლია მათ შორის მადლობით არ მოვიხსენიო დიდ პატივცემული სტეფანე პავლის ძის ფეიქრიშვილის მთელი ოჯახის შემადგენლობა, რომელიც დღიდან დაარსებისა ამ საზოგადოებას და მის გამგეობას დიდ დახმარებას უწყევს მუშაობით, უამრავი ხარჯით მიმოსვლისა და სხვა მოქმედების დროს, რჩევებით და მრავალ ნაირ შემწეობით; ჯერ ჯერობით მის, ფეიქრიშვილის, სავაქრო სახლში აქვს თვით გამგეობას უფასოდ დახმობილი ყოველ ნაირ ინფორმაციებისათვის და საკანცელარიო წარმოებისათვის ბინა, სადაც თვით ფეიქრიშვილის ქალი, ბარბაღლე სტეფანეს ასული, მოუწყინრად უსასყიდლოთ ემსახურება დღემდის ამ სიმბატიურ საქმეს. საჭიროა ამ შეგნებული ოჯახიდან მანც აიღონ მაგალითი სხვებმაც და თავისი გულშემატკივრობა აღმოუჩინონ ამ დაწესებულებას და ის შემწეობას, მანც მისცემენ გამგეობას რომ ჩაწერილმა წევრებმა ხვედრი პაის ფასი მანც შეჰოიტანონ, რომ აით გამგეობამ წინ წასწიოს ეს საზოგადო სასარგებლო საქმე.

3.

კორესპონდენცია.

სოფ. დალიკაური. ამ სოფლის ეკონომიურად დამაკმაყოფილებელი იყო და არის ღვინის მოსავალი. მევენახეობა აქ ძალიან გავრცელებულია და ზოგიერთ შემთხვევაში მასზეა დამყარებული გლეხის არსებობის საკითხი. ხშირად ნახევარი ქცევა მიწა არ მოეპოვება აქაურ მოსახლეს ვენახის გარდა, რომ სიმინდი მოიყვანოს. ასეთი მოსახლის ბედობალი სრულიად დამოკიდებულაია ღვინის მოსავალზე. მაგრამ წელს ღვინის ღმერთიც ვანრისხდა და ხალხი დიდ საგონე-

ბელში ჩაავდო. წელს როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებში, ისე აქაც ღვინის მოსავალი უნდა იქნას სულ არ იყო. მასთან აღონიშნულია სიმინდის ცუდი მოსავალი. შეიქნა ვად იმისა, რომ ბევრი მიწა დაითესნა, ქარნახული შარშანდელის მესამედი არ მოსულა.

ამნაირად „დამწვარს“ რომ დღესაც დაასხა“ სწორედ იქეთ მდგომარეობაშია სოფლის მცხოვრები ამ საერთო სევდას უფრო აორკვეებს და მწარე ფაქტებს გვრის საერთო ეკონომიური კრიზისი ჩვენი რესპუბლიკისა. იცის ხალხმა, რომ ჩვენ უზუნაეს მთავრობას არ მოეპოვება რეზერვში სურსათი, რომ ასეთ გაჭირვების დროს ხალხს დახმარება აღმოუჩინონ. იცის და იმედ დაკარგული მისცემია სასოწრწვეკეთილებას და ახლო მომავლის პერსპექტივებში შავი აზრლილივით ელანდებათ. ასეთი აუტანელი მდგომარეობა ხალხს როგორც ფიზიკურად ისე, სულიერათ აქვეითებს.

სიმონიკა კახნიაშვილი

ზესტაფონი. დ. ზესტაფონმა ქალაქის სახელწოდება მიიღო, ამ მხრივ ზესტაფონი ამაღლდა, მაგრამ მისი ქუჩები კა?.. უფრო დადაბლდა. დღეს ქ. ზესტაფონის ქუჩების საქმე უფრო უკუღმა მიდის ვიდრე წალმა. რაში გამოიხატება ეს? პირხელყოფისა იმაში რომ არც ერთი ქუჩა არ არის განათებული, ამას უნდა დაურთოთ ის რომ ეს ქუჩები არ არის, მოფენილი ქვით, და წვიმების დროს წარმოუდგენელი ტალახი დგება. განათება ქუჩებში სულ არ არის რაც ხელს უწყობს ქურდბაცაცებს თავიანთი განზოახვა სისრულეში მოიყვანონ. ასე რომ შვიდი საათის შემდეგ მცხოვრებლები, ვეღარ გამოდიან გარეთ, და თუ გამოვიდნენ, ან სიბნელეში საღმე გადიხებებიან ან და ტალახში დაიხჩობიან, მხოლოდ ერთი ქუჩაა რომელიც შედარებით უკეთეს პირობებშია, დანარჩენი ქუჩები კი სახიფათო მდგომარეობაში არიან. კარგახანია რაც შორაპნის ერობა მოქმედობს მაგრამ ამ დარგში მის ნაყოფს ჯერ-ჯერობით ვერ ვხედავთ. თუმცა ერობის პირდაპირ მოვალეობას ეს იმდენათ არ შეადგენს როგორც ქალაქის თვითმართვლობის, მაგრამ ამ მხრივ მისი მოქმედებაც უნაყოფოა, როდემდის უნდა იქნეს ზესტაფონი დღეს უკვე ქალაქად აღიარებული, ამ სიბნელეში?

შ. პ. ტარა.

რედაქტორი საოვედაქცია კოლეგია.

პასპორტი თბილისი დაეკარგე. სის მილიციის უფროსის მიერ მოცემული 1918 წლის აგვისტოს თვეში და მოწმობა სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლების შესახებ. დღეიდან როგორც პასპორტი ისე მოწმობაც ძალას კარგავს. ნიკანდრი მაქსიმეს ძე ასათიანი. (1-ეფ.-1)